საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

0112, საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 150
150 D. Agmashenebeli ave. 0112, Tbilisi, Georgia

TEL: +995 32 2439503 FAX: +995 32 2439502
E-mail: info@nea.gov.ge Web: www.nea.gov.ge

N 21/4620
23/08/2022

4620-21-2-202208231016

შპს „თი ეს გრუპს“
მის: ქ. თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი,
ატენის ქუჩა, კორპ. 3, ბ. 22.
ელ.ფოსტა: office@tsgroup.az

ასლი: თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერიას

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენი 2022 წლის 9 აგვისტოს N3893 განცხადება, რომელიც ეხება შპს „თი ეს გრუპის“ ცემენტის საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილების სკოპინგის ანგარიშს და გაცნობებთ, რომ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში დაზუსტებას საჭიროებს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, საწარმოზე 2020 წლის 05 აგვისტოს გაცემულია გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება №2-90 (გვ. 2; გვ. 9), რაც საჭიროებს დაზუსტებას, ვინაიდან აღნიშნულ ობიექტზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება გაცემულია №2-690 ბრძანების (05.08.2020) შესაბამისად;
- სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, პირდაპირი მანძილი უახლოეს მოსახლემდე შეადგენს - 650 მ-ს, ასევე აღნიშნულია რომ საწარმოო ტერიტორიის საკადასტრო საზღვრიდან უახლოესი საცხოვრებელი სახლი მდებარეობს 50 მეტრზე (გვ. 20), ხოლო გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების (№2-690 ბრძანება) მიხედვით უახლოეს დასახლებულ პუნქტამდე მანძილი 620 მეტრს შეადგენს. აღნიშნული საკითხი მნიშვნელოვანია დაზუსტდეს გაზრდილი წარმადობის ფონზე მოსალოდნელი ზემოქმედების სათანადო ანალიზის მიზნით;
- სკოპინგის ანგარიშში მოცემულია ატმოსფერულ ჰაერზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასების მეთოდიკის შესახებ ინფორმაცია, თუმცა არ არის წარმოდგენილი მოსალოდნელი ზემოქმედების შესახებ ინფორმაცია, რაც საჭიროებს დაზუსტებას (გაზრდილი წარმადობის გათვალისწინებით); მნიშვნელოვანია დაზუსტდეს ასევე ინფორმაცია საწარმოო ტერიტორიაზე გაბატონებული ქარების მიმართულების შესახებ, რაც მნიშვნელოვანია გაზრდილი

წარმადობის ფონზე უახლოესი დასახლების მიმართულებით ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების განსაზღვრისთვის;

- სკოპინგის ანგარიშში ხმაურის გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასებისა და ხმაურის გავრცელების დონეების განსაზღვრის შესახებ ინფორმაცია არ არის წარმოდგენილი ექსპლუატაციის პირობების ცვლილების გათვალისწინებით. მოცემულია საწარმოში დამონტაჟებული დანადგარების ხმაურის გავრცელების დონეებისა შესახებ ინფორმაცია, რაც საჭიროებს დაზუსტებას. ბგერითი სიმძლავრის დონეების შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იქნეს ექსპლუატაციის პირობების ცვლილების გათვალისწინებით (ხმაურის გამომწვევი წყაროების მითითებით);
- ადამიანის ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებაზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასების ქვეთავი ეხება მხოლოდ მომსახურე/დასაქმებულ პერსონალს, რაც საჭიროებს დაზუსტებას (მათ შორის, უახლოესი დასახლებული პუნქტის მოსახლეობაზე და მიმდებარედ არსებულ სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე მოსალოდნელი ზემოქმედების ჭრილში);
- პროექტის ალტერნატიული ვარიანტების ანალიზის ქვეთავში (გვ. 17) მითითებულია - სადნობი ღუმელის და მტვერგამწმენდი სისტემის ალტერნატიული ვარიანტები, რაც საჭიროებს დაზუსტებას, ვინაიდან პროექტი ცემენტის წარმოებას ეხება.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით გაცნობებთ, რომ სააგენტო წყვეტს სკოპინგის დასკვნის მიღების მიზნით დაწყებულ ადმინისტრაციულ წარმოებას. დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებით სააგენტო ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს წერილში მითითებული საკითხების გათვალისწინებით განახლებული სკოპინგის ანგარიშის წარმოდგენის შემდგომ.

მოცემული გარემოებიდან გამომდინარე, დამატებით გაცნობებთ, რომ 2022 წლის 30 აგვისტოს 15:00 საათზე თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის, სოფ. მარაბდის საჯარო სკოლის შენობაში დაგეგმილი (შპს „თი ეს გრუპის“ ცემენტის საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილების) **სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვა აღარ გაიმართება.**

თამარ ფიცხელაური

თ. ფიცხელაური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო